

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები



მწვანე ალტერნატივა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის სასარგებლო წიაღისეულის (მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს) ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტის გზმ-ის ანგარიშის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

28 ივლისი, 2022

2022 წლის 2 ივნისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის სასარგებლო წიაღისეულის (მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს) ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. წარმოდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების გამოქვეყნებულ ანგარიშთან დაკავშირებით.

საქმიანობის დანაწევრება

როგორც ანგარიშის შესავალ ნაწილშია ნათქვამი, მპს RMG Copper-ს დაგეგმილი აქვს მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს ექსპლუატაცია. მოპოვებითი საქმიანობა ეფუძნება მპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე“, 2021 წლის 31 მაისს გაცემულ N10002084 ლიცენზიას, რომელიც RMG Copper-ს იჯარით გადაეცა. აღსანიშნავია, რომ RMG Copper-სთვის გადაცემული მუშევანი 2-ის საბადოს მთლიანი ფართობი მოიცავს 902.95 ჰექტარს, საიდანაც უშუალოდ სამთო მინაკუთვნის ფართობი 175.8 ჰექტარია; თუმცა, კომპანია ამ ეტაპზე საქმიანობის განხორციელებას გეგმავს 11.27 ჰექტარზე და მხოლოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე ატარებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილ შენიშვნებში მწვანე ალტერნატივას ერთ-ერთი მთავარი შენიშვნა სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხებოდა, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მაინც გასცა სკოპინგის დასკვნა.

საქმე იმაშია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საგანი ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობაა და არა მისი ნაწილი. შესაბამისად, გზმ-ის პროცედურა უნდა გაიაროს საბადოს მთლიან ტერიტორიაზე დაგეგმილმა საქმიანობამ, მიუხედავად იმისა, თუ როდის გეგმავს ან გეგმავს თუ არა საერთოდ კომპანია მთლიანი ტერიტორიის ათვისებას; ის გარემოება, რომ RMG Copper-მა გადაწყვიტა ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის ნაწილის ათვისება, ვერ განდება საქმიანობის დანაწევრების საფუძველი.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუშევანი 2-ის საბალოზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ვადა ექვსი წლით განისაზღვრა, კომპანიას უფლება აქვს მოპოვებითი საქმიანობა 2042 წლამდე, ანუ ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე განახორციელოს. ამ პერიოდში კი, „წიაღის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოპოვების პარალელურად ლიცენზიანტს უფლება აქვს, საბადოს ექსპლუატაციისას დამატებითი შესწავლის სამუშაოები განახორციელოს, ხოლო შესწავლის შედეგების გათვალისწინებით უზრუნველყოს რესურსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მარაგების კატეგორიაში გადაყვანა და მისი მარაგების სახელმწიფო კომისიისთვის დასამტკიცებლად წარდგენა“; ეს იმას ნიშნავს, რომ არაა გამორიცხული მარაგების დამტკიცების შემთხვევაში დაგეგმილი საქმიანობა გაფართოვდეს.

ასეთ შემთხვევაში, საჭირო გახდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესს ახლიდან დაექვემდებაროს მოპოვებითი საქმიანობა ახალ ტერიტორიაზე, რაც შეამცირებს მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების სრულფასოვნად შესწავლის ალბათობას. აღნიშნული ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ საქმე გვაქვს საქმიანობის ხელოვნურად დანაწევრების (ე.წ salami slicing) მავნე პრაქტიკასთან.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ჯერ სრულად იქნას შესწავლილი სალიცენზიო ტერიტორია და მთლიან ფართობზე დამტკიცდეს წიაღისეულის მარაგები და მხოლოდ შემდეგ ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება სრული სალიცენზიო ტერიტორიისთვის.

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის. საგულისხმოა, რომ ამ ინფორმაციის სრულფასოვნად წარმოდგენა კომპანიას ევალებოდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსითა და საქმიანობაზე გაცემული სკოპინგის დასკვნით. კერძოდ:

ნულოვანი ალტერნატივა, პროექტის საჭიროების დასაბუთება და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი

გზმ-ის ანგარიშის 3.1 ქვეთავში საუბარია ნულოვანი ალტერნატივისა და პროექტის საჭიროების შესახებ; თუმცა, ქვეთავში წარმოდგენილი მოსაზრებები ვერ ასაბუთებს პროექტის განხორციელების საჭიროებას.

ქვეთავში წარმოდგენილი მტკიცებით, ნულოვანი ალტერნატივის შერჩევა ანუ წიაღის სარგებლობაზე უარის თქმა გულისხმობს მფლობელის მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე უარს, რაც ეწინააღმდეგება ლიცენზიის პირობებს და გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას.

ნულოვანი ალტერნატივის განხილვის საკითხის მიმართ მსგავსი მიდგომა, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია. პროექტის სხვადასხვა ალტერნატივებთან ერთად ნულოვანი ალტერნატივის შეფასება და ალტერნატივის შერჩევას მისი გათვალისწინება სავალდებულოა. ის ფაქტი, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ლიცენზია უკვე გაცემულია და წიაღისეულის ლიცენზიის მფლობელს წიაღის სარგებლობის გადასახადი ეკისრება, არ ცვლის წიაღისეულის მოპოვების პროექტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების აუცილებლობის ფაქტს. საქართველოს კანონმდებლობით, წიაღის მოპოვების პროექტზე გარემოზე ზემოქმედების შეფასება ტარდება ლიცენზიის მფლობელი კომპანიის მიერ ლიცენზიის გაცემის შემდგომ; თუმცა, ლიცენზიის არსებობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება აუცილებლად დადებითი უნდა იყოს და შეფასების პროცესში პროექტის განუხორციელებლობის ალტერნატივა არ უნდა იყოს ჯეროვნად შეფასებული და გათვალისწინებული.

გარდა ამისა, პროექტის საჭიროებაზე საუბრისას, სათანადოდ არ არის დასაბუთებული პროექტის განხორციელების ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი. საერთოდ არაა შეფასებული ის დანაკარგი, რომელიც მოპოვებითი საქმიანობის განხორციელებით მიაღება ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოს. პროექტის განხორციელებით მიღებული დანაკარგის შესახებ ინფორმაციის არარსებობის პარალელურად, ანგარიშში მხოლოდ ზოგადი სახის ჩანაწერებს ვხვდებით იმის შესახებ, თუ რა იქნება პროექტისგან მიღებული სრული სარგებელი, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მუნიციპალიტეტისთვის, ისე ქვეყნისთვის.

კონკრეტულ რიცხვებში გამოხატული ერთადერთი ინფორმაცია არის მონაცემი მოპოვების პროცესში დასაქმებულთა შესახებ, რაც შეადგენს 50 ადამიანს. თუმცა, ფინანსურად არ არის გაანგარიშებული თუ რა რაოდენობის სარგებელს უკავშირდება 50 ადამიანის დასაქმება და ნათქვამია მხოლოდ ის, რომ გაჩნდება „მაღალანაზღაურებადი“ მუდმივი სამუშაო ადგილები. ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და სოფლისთვის სხვა სახის პირდაპირ სარგებელზე ანგარიშში საუბარი საერთოდ არ არის.

ამასთან, პროექტის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზის ქვეთავში (3.3) ხარჯების ანუ დანაკარგის ნაწილში გათვალისწინებულია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკოლოგიური ზარალის ის წილი, რომელიც არაა დაქვემდებარებული ინვესტორის მიერ კომპენსირებას. აქვე ნათქვამია, რომ სახელმწიფოს მიერ კომპანიაზე უსასყიდლოდ რაიმე ქონების გადაცემა არ ხდება და, შესაბამისად, არაკომპენსირებული ზარალი მოსალოდნელი არაა. ამდენად, გამოდის, კომპანია ხარჯ-სარგებლიანობაზე მსჯელობისას (ისიც ძალიან ზოგადი, კონკრეტული მონაცემებს მოკლებული მსჯელობისას) საერთოდ არ ითვალისწინებს გარემოსა თუ მოსახლეობაზე მიყენებულ ზიანს, რასაც იმით ხსნის, რომ ყველანაირი სახის დანაკარგი, რომელიც პროექტის განხორციელებით იქნება გამოწვეული, სახელმწიფოს ფინანსურად აუნაზღაურდება.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისას პროექტის განხორციელებით გამოწვეულ ზიანთან მიმართებით მსგავსი მსჯელობა, რა თქმა უნდა, არასწორია. ის ფაქტი, რომ კომპანია ფინანსურ კომპენსაციას გადაიხდის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სოციო-ეკოლოგიური ზიანის სანაცვლოდ, არ ნიშნავს ზიანის აღმოფხვრას. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფოსთვის კომპენსაციის სახით გადახდილი თანხა, ქვეყნის საერთო ბიუჯეტში შედის და არ ხმარდება გარემოზე მიყენებული იმ კონკრეტული ზიანის გამოსწორებას, რომლისთვისაც კომპენსაცია იქნა გადახდილი. შესაბამისად, ზარალი, რომელიც საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივ გარემოსა თუ სოფელ მუშევანის მაცხოვრებლებს მიაღებათ, ფინანსური კომპენსაციის გადახდით გამოსწორებული ვერ იქნება. ამგვარად, პროექტის ხარჯ-სარგებლიანობაზე საუბრისას, აუცილებელია სრულფასოვნად იყოს შეფასებული და დათვლილი ადგილობრივი გარემოსთვის მიყენებული ზარალი.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ძალიან ზოგადი შინაარსის მიუხედავად, ქვეთავის დასასრულს გაკეთებულია არალოგიკური დასკვნა, რომელიც ქვეთავში მოცემული ინფორმაციიდან სრულებით არ გამომდინარეობს; კერძოდ, დასკვნაში ნათქვამია: „ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესაძლებელია შეფასდეს პროექტის სოციო-ეკონომიკური მიზანშეწონილობა, კერძოდ: პირდაპირი და ირიბი სოციო-ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც მიიღებს ქვეყანა (შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში, ქონების და მოგების გადასახადების სახით მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე, საკმარისია იმისთვის, რომ მიზანშეწონილად ჩაითვალოს პროექტის განხორციელება და დასაშვებად იქნას მიჩნეული სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე შესაძლო ზემოქმედება“.

გაუგებარია, რას ეფუძნება ზემოაღნიშნული დასკვნა, რადგანაც ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ქვეთავში არაა წარმოდგენილი ზუსტი მონაცემები დანაკარგისა და სარგებლის ფინანსური ოდენობების შესახებ და არც ერთმანეთისთვისაა ისინი შედარებული.

კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე ზემოქმედება

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მონაცემებით, სოფ.მუშევანში დადასტურებულია X-XI და განვითარებული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ორი ძეგლის არსებობა: 1. ეკლესია, რომლის კედლებიც 2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი; 2. მუშევანის ეკლესია, რომლისგანაც ჩრდილოეთ კედელია შემორჩენილი. ანგარიშში ნათქვამია, რომ კულტურული მემკვიდრეობის აღნიშნული ძეგლები მნიშვნელოვანი მანძილით არის დაშორებული საწარმოო და კარიერის ტერიტორიიდან და რომ დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ვიზრაცია არ გამოიწვევს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგრადობის ან იერსახის დაზიანებას.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ მნიშვნელოვან მანძილად მოხსენიებული დაშორება ერთ კილომეტრსაც კი არ შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ წიაღის მოპოვებითი საქმიანობის ხასიათსა და მასშტაბებს, რომელიც ითვალისწინებს ინტენსიურ და ხშირ აფეთქებებს, ერთი კილომეტრი არაა ის მანძილი, რომელიც აფეთქებით გამოწვეული ბიძგების ისე განეიტრალებას შეძლებს, რომ მათ გავლენა ვერ იქონიონ XI საუკუნის ნაგებობაზე, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია შემორჩენილი.

ამგვარად, კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე ზემოქმედების საკითხი სათანადოდ არ არის შეფასებული და გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას. შესაბამისად, ადექვატური საპროვენციო და შემარბილებელი ღონისძიებებიც არ არის გათვალისწინებული ამ ზემოქმედების მაქსიმალურად შესამცირებლად.

არქეოლოგიური ძეგლების საკითხი

ხაზგასასმელია არქეოლოგიური ძეგლების საკითხიც. ანგარიშის მიხედვით, მიწის სამუშაოების დაწყებამდე, სალიცენზიო ფართობზე 2017-2021 წლებში მოხდა ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა საცდელ-საძიებო თხრილების საშუალებით. შესწავლის შედეგებით, საპროექტო ტერიტორიაზე ხილული არქეოლოგიური ობიექტები და არტეფაქტები არ ფიქსირდება.

მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ამ ეტაპზე არაა დაფიქსირებული არქეოლოგიური ძეგლი, მოპოვებითი სამუშაოების პროცესში მათი აღმოჩენის ალბათობა მაინც არსებობს; მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საყდრისის საბადოს სახით ამ რეგიონში უკვე აღმოჩენილია უძველესი არქეოლოგიური ობიექტი. ამას, ემატება ისიც, რომ არ გვაქვს ინფორმაცია გზშ-ის პროცესში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის სანდოობის შესახებ: რამდენი საძიებო თხრილი გაკეთდა, რომელ ადგილებში და ა.შ. ანგარიშში სათანადო ყურადღება არ ეთმობა იმ საკითხს, თუ რა მოხდება მოპოვების პროცესში არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში.

ბიომრავალფეროვნების კვლევა

ანგარიშში, კერძოდ, 5.5.2 ქვეთავში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული ფაუნის შესახებ, ნათქვამია, რომ 2020-2021 წლებში ჩატარდა ბიოლოგიური კვლევა; კვლევის მიზანი იყო მუშევანი 2-ის საბადოს ტერიტორიისა და მის მიმდებარედ გავრცელებული ფაუნის სახეობების შესწავლა. ქვეთავში ასევე წარმოდგენილია შერჩეულ საკვლევ უბნებზე განხორციელებული საველე გასვლებისა და დაკვირვებების შედეგები; შედეგებზე დაყრდნობით, გაკეთებულია დასკვნა, რომ ცხოველთა მაღალი სიმჭიდროვის პოპულაციების არსებობა არ ფიქსირდება და სახეობრივი მრავალფეროვნებაც მცირეა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეთავში არაა წარმოდგენილი ჩატარებული კვლევის შესახებ დეტალური ინფორმაცია: 2020-2021 წლის კონკრეტულად რომელ სეზონებზე, რა პერიოდულობით და რამდენი ხნის განმავლობაში ტარდებოდა სავლე კვლევები, რომელი უბნები იქნა შერჩეული საკვლევ უბნებად, რა პრინციპით მოხდა მათი შერჩევა და ა.შ. ანგარიშში ასევე ვერ ვხვდებით ჩატარებული კვლევების დამადასტურებელ ფოტომასალას.

ხაზგასასმელია პროექტის განხორციელების პროცესში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეულობის საკითხიც. გზმ-ის ანგარიშის 6.8.2 ქვეთავში, რომელიც შეეხება ფლორასა და მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას, ნათქვამია, რომ საპროექტო ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც ჭრის სამუშაოებია გათვალისწინებული ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე. აქვე ნახსენებია, რომ აღნიშნულ ფართობებზე ჩატარებულია ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობისა და მახასიათებლების დეტალური კვლევა (ტაქსაცია).

მიუხედავად ამისა, ანგარიშში ვერსად ვხვდებით ჩატარებული ტაქსაციის შედეგებს და ინფორმაციას იმის შესახებ, დაახლოებით რა რაოდენობის ხე-მცენარე (სახეობების მიხედვით) მოიჭრება პროექტის განხორციელებისას და, ამ მხრივ, რამდენი იქნება გარემოზე მიყენებული ზიანის მოცულობა.